



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №18

2012 წლის 15 თებერვალი  
ქ. ქობულეთი

#### **შ.პ.ს. „LUGAMIO HOLDINGS LIMITED“-ზე საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „LUGAMIO HOLDINGS LIMITED“-ს ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №383-ში მშენებარე საცხოვრებელ სახლის ელექტროენერჯით მომარაგებისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანდართული სქემის შესაბამისად.

2. შ.პ.ს. „LUGAMIO HOLDINGS LIMITED“-მა ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №383-ში მშენებარე საცხოვრებელ სახლამდე ელექტროკაბელის მონტაჟისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გაფრთხილდეს შ.პ.ს. „LUGAMIO HOLDINGS LIMITED“-ი მასზე, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს ელექტრო კაბელის ადგილმონაცველობა.

4. შ.პ.ს. „LUGAMIO HOLDINGS LIMITED“-მა უზრუნველყოს ელექტრო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“, ს.ს. „სილქნეტი“, ს.ს. „ენერგო-პროფორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამედიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**ნ. ბერაძე**